სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ ნავთობის და გაზის XI-H (XIH, XIB და XIL გაერთიანება) სალიცენზიო ბლოკზე (ტერიტორიულად მოიცავს დუშეთის, თიანეთის, საგარეჯოსა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებს) სახელმწიფოსთან გაფორმებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებისა და ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის საფუძველზე ნავთობის და გაზის ოპერაციებს ახორციელებს „Georgia Oil & Gas Limited-ის ფილიალი საქართველოში“, რომლის დაკვეთით კონსულტანტი კომპანია შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი-ეკომეტრი“ ამზადებს XIH, XIB და XIL სახელშეკრულებო ფართობებთან დაკავშირებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების გაერთიანებასთან დაკავშირებით გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, რომელიც შეიცავს ნავთობისა და გაზის ოპერაციების შედეგად გარემოზე პოტენციური ზემოქმედების ანალიზს.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ს ა ჯ ა რ ო გ ა ნ ხ ი ლ ვ ა გაიმართება 2026 წლის 2 ოქტომბერს 14 საათზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმისაწვდომია საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენლისთვის. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ნავთობის და გაზის სახელმწიფო სააგენტოს ფეისბუქ გვერდზე (ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო/State Agency of Oil and Gas), დუშეთის (dusheti.gov.ge), თიანეთის (tianeti.gov.ge), საგარეჯოსა (sagarejo.gov.ge), და გარდაბნის (gardabani.gov.ge) მუნიციპალიტეტების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე, ასევე მოთხოვნის შემთხვევაში სააგენტოსა (ქ.თბილისი, სანაპიროს ქ.№2) და ზემოაღნიშნული მუნიციპალიტეტების მერიებში ხელმისაწვდომია გზშ-ის ანგარიშის ნაბეჭდი ეგზემპლარი.

საზოგადოებას უფლება აქვს გზშ-ის ანგარიშის განთავსებიდან 40 სამუშაო დღის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს მოსაზრებები და შენიშვნები გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით (წერილობით; საჯარო განხილვის დროს; ელექტრონული საშუალებით, თუ ის იძლევა ავტორისა და გამომგზავნის სარწმუნო იდენტიფიცირების საშუალებას).

საჯარო განხილვა ღიაა და საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მასში.